


სწავლის საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამის დასახელება	მედიცინა (Medicine)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია/ აკადემიური ხარისხი	დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor)
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ისმეთ დინდარ პროფესორი ლეილა ახვლედიანი
პროგრამის განხორციელების ადგილი/უნივერსიტეტის დასახელება	6010, ქ. ბათუმი, გენერალ აბაშიძის ქ 14. ტელ.: +995(422)212 536 ფაქსი: +995 (422)212 535 ელ. ფოსტა: info@bauinternational-uni.ge სასწავლო უნივერსიტეტი "ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი"
საკონტაქტო პირი	პროგრამის განხორციელების ირგვლივ ინფორმაციული უზრუნველყოფა: ლეილა ახვლედიანი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ტელ.: +995 577 179 718; +995 593 537 072 ელ. ფოსტა: leila.akhvlediani@bauinternational-uni.ge ნებისმიერი სახის საორგანიზაციო ინფორმაციით უზრუნველყოფა: თეა მიქელაძე, კადრების სამსახურის უფროსი ტელ.: +995 577 115 117 ელ. ფოსტა: tea.mikeladze@bauinternational-uni.ge
სწავლების ენა	ინგლისური



პროგრამის განხორციელების ადგილი	"ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი"
სწავლების ფორმა	დღის სწავლება - 6 სასწავლო წელი (12 აკადემიური სემესტრი)
პროგრამის მოცულობა	360 კრედიტი , წელიწადში საშუალოდ 60 კრედიტი (არა უმეტეს 75), სემესტრში - 30 კრედიტი.
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა	საქართველოს მოქალაქეობის - ერთიანი ეროვნული გამოცდები; უცხო ქვეყნის მოქალაქეობის - პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესით. ინგლისური ენის ცოდნა - მინიმალური B2 დონე.
სწავლების ფორმატი/სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება სიმულატორებზე და შემდგომ კლინიკურ გარემოში. სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი ფორმები: - ინტერაქტიული ლექციები, ჯგუფში მუშაობა, სემინარები, კოლოქვიუმები; - კლინიკურ გარემოში სწავლება (Bedside Teaching); - სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება; - ლაბორატორიული სწავლება; - პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება; - პრაქტიკული მეცადინეობები; - პრეზენტაციები; - სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა.
პროგრამის მიზანი	- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერული ხედვითა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნით აღჭურვილი, ლიბერალური ღირებულებების, ღრმა თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების მქონე, დიპლომირებული მედიკოსის მომზადება; - მომავალ მედიკოსში პროფესიული ეთიკის, კვლევისა და ცოდნის მუდმივი განახლების პროფესიული ცხოვრების ძირითად პრინციპად ჩამოყალიბება; - კურსდამთავრებულის ხელშეწყობა მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისათვის.



**პროგრამის შედეგები/
ზოგადი და დარგობრივი
კომპეტენციები**

ზოგადი კომპეტენციები:

1. ანალიზის, სინთეზის და დასკვნის უნარი

- რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება;
- ინფორმაციის დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომი მათი გამოყენება;
- ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება და დასკვნის გამოტანა;
- მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

2. ინფორმაციის მართვის უნარი

- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება;
- დიდი მოცულობის ინფორმაციის შეგროვება, მისი დამუშავება, კრიტიკული ანალიზი და შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება.

3. ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი

- დაკვირვება, მოსმენა, კითხვების დასმა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია;
- შეხვედრებში მონაწილეობა და საკუთარი მოსაზრების ზეპირად და წერილობით გადმოცემა;
- პროფესიულ გარემოში მოლაპარაკებების წარმოება.

4. ჯგუფში/გუნდური მუშაობის უნარი

- გუნდური მუშაობა როგორც გუნდის წევრის, ისე მისი ლიდერის რანგში;
- ამოცანების ნათლად განსაზღვრა, გუნდის წევრებთან მათი განხილვა, გუნდის წევრების შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, წევრების საქმიანობის კოორდინირება;
- ჯგუფში შექმნილი კონფლიქტების და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა.

5. პრობლემის გადაჭრის/გადაწყვეტილების მიღების უნარი

- პრობლემების დამოუკიდებლად განსაზღვრა, წამოჭრა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება;
- მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.





6. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

- დროის ორგანიზება, პრიორიტეტების შერჩევა, ვადების დაცვა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულება;
- განსახორციელებელ საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების ეფექტურად დაგეგმვა;
- შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება, მისი შეფასება და კრიტიკა.

7. სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი

- სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა;
- ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება;
- საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება;
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სწავლის დაგეგმვა.

8. ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი

- კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევების გამომუშავება;
- პროფესიული სუბორდინაციის და ახალ გარემოსთან ადაპტაცია;
- ახალი ტექნოლოგიების ათვისება.

დარგობრივი კომპეტენციები:

1. ცოდნა და გამოცდილება

- ფუნდამენტალური, ქცევითი, სოციალური და კლინიკური საგნების ცოდნა;
- წამლების ძირითადი ჯგუფების ცოდნა; პათოლოგიური მდგომარეობისა და დაავადებების შესაბამისად მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემის ფარგლებში ექიმის როლის გაცნობიერება;
- ეთიკური და სამართლებრივი ნორმების ცოდნა;
- კლინიკური სურათის გააზრებისა და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიების სირთულის გაცნობიერება.





2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები);
- მიღებული ცოდნის გამოყენებით კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შემუშავება/მკურნალობის გეგმის შემუშავება;
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის დანიშვნა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;
- პრაქტიკული პროცედურების ჩატარება;
- სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევებში სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება;
- გუნდში მუშაობის უნარი, როგორც რიგითი წევრის, ისე ლიდერის სტატუსში.

3. დასკვნის უნარი

- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ასპექტების შეფასება;
- კლინიკური დასაბუთების, არარსებული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარი;
- დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარების უნარი;
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
- მტკიცებულებაზე დამყარებული პრინციპების, უნარ-ჩვევების და ცოდნის გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისას.

4. კომუნიკაციის უნარი

- სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება;
- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა;
- არავერბალური კომუნიკაცია/წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით);
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება;
- პაციენტთან კომუნიკაცია, კოლეგებთან კომუნიკაცია;
- სამედიცინო გარემოში ეფექტური კომუნიკაცია (ზეპირი და წერილობითი) ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.

5. სწავლის უნარი

- სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა;
- დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი;
- ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება;
- ცოდნის განუწყვეტელი განახლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება;
- საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება.

6. ღირებულებები

- სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება;
- კონფიდენციალობის დაცვა, პაციენტის უფლებების პატივისცემა;
- ნებისმიერ პირთან პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა;
- პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინება;
- ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში მონაწილეობა და ეფექტური მუშაობა ჯანდაცვის სისტემაში.

პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS-ის მოთხოვნების შესაბამისად. კურსდამთავრებულმა უნდა აითვისოს 360 კრედიტი. კურიკულუმი შედგება სასწავლო კურსებისაგან, რომელთა მოცულობა მერყეობს 2-10 კრედიტამდე. ECTS-ის თანახმად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 60 კრედიტით განისაზღვრება (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში). კრედიტის საათობრივი ზომის მოცულობის განსაზღვრა ეფუძნება სასწავლო წლის კვირათა რაოდენობასა და სამუშაო კვირის საათობრივ ხანგრძლივობას. ყოველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 კვირას, ხოლო



	ყოველი წლის მეორე სემესტრი - 21 კვირას, საიდანაც 32 კვირა საკონტაქტოა და 8 კვირა საგამოცდო. სტუდენტისათვის სწავლის პროცესი არის ჩვეულებრივი შრომითი საქმიანობა და მასზე ვრცელდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი 41 საათიანი სამუშაო კვირა. რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალო მომზადებისა და უნარების სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვირეული მასალის ასათვისებლად არ უნდა სჭირდებოდეს 40 საათზე მეტი. სტუდენტის დატვირთვა, ECTS-ის მიხედვით. ფაკულტეტზე სასწავლო წლის ხანგრძლივობა 40 კვირას შეადგენს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ 1 ECTS კრედიტი უდრის 30 საათს. პროგრამის სტრუქტურაა: - ძირითადი კომპონენტები - 334 ECTS - არჩევითი კომპონენტები - 26 ECTS
დასაქმების სფერო	კურსდამთავრებულს უფლება აქვს: - გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება; - იმუშაოს უმცროს ექიმად ნებისმიერ უცხოურ თუ ადგილობრივ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურებასთან; - განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში და/ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საგანმანათლებლო დაწესებულება, სხვადასხვა ჰოსპიტალი და ა.შ.); - დასაქმდეს ნაციონალურ და საერთაშორისო ფარმაცევტულ კომპანიებში და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრებში.
ადამიანური რესურსი	პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს არჩეული აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები) და მოწვეული სპეციალისტები.
მატერიალური რესურსი	საბაზისო დონეზე ლექციები და ჯგუფური მეცადინეობები ჩატარდება უნივერსიტეტის სათანადო ინვენტარით აღჭურვილ აუდიტორიებში, ლაბორატორიებში (ანატომიური, ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური), ასევე კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში. ანატომიური ლაბორატორია აღჭურვილია მაკრომორფოლოგიის სწავლებისათვის აუცილებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით, ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები - თანამედროვე LEICA-ს მიკროსკოპებით და სხვა აუცილებელი ლაბორატორიული ხელსაწყოებით, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში განთავსებულია მულტიფუნქციური სასწავლო მულაჟები და სიმულატორები. სასწავლო კორპუსი აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. სტუდენტები ისარგებლებენ როგორც უნივერსიტეტის საკუთარი ბიბლიოთეკით, ისე ბაჰჩეშეჰირის (სტამბულის) სამედიცინო ფაკულტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკით. სტუდენტებს სწავლების პირველივე წლიდან სასწავლო კვირის ბოლო დღის მეორე ნახევარში მეცადინეობები ჩატარდებათ კლინიკურ გარემოში - უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საკუთარ კლინიკურ ბაზაზე. კლინიკური დისციპლინები ჩატარდება როგორც უნივერსიტეტის საკუთარ, ასევე აფილირებულ კლინიკებში, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

	სასწავლო პროცესს განახორციელებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და როგორც ქართველი, ისე BAU ბაჭჩეშეჭირის სტამბულის სამედიცინო ფაკულტეტიდან და კლინიკა Medical Park-დან მოწვეული პედაგოგები.
შეფასების სისტემა	უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. საიდანაც: - 60 ქულა - შუალედური შეფასება, საიდანაც: 1. 40 ქულა (მეცადინეობებზე დასწრება, ყოველდღიური ზეპირი ან წერიტი გამოკითხვა, პროექტის მომზადება-პრეზენტაცია ან სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე რაიმე სხვა აქტივობა); 2. 20 ქულა - შუალედური გამოცდა; - 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: "ფრიადი", "ძალიან კარგი", "კარგი", "საშუალო", "დამაკმაყოფილებელი", "არადამაკმაყოფილებელი", "სრულიად არადამაკმაყოფილებელი". სტუდენტების შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით: ქულათა რაოდენობა / შეფასება / შეფასების კლასიფიკაცია / შეფასება: 91-100 / "ფრიადი" / დადებითი / A "ფრიადი" 81-90 / "ძალიან კარგი" / დადებითი / B "ძალიან კარგი" 71-80 / "კარგი" / დადებითი / C "კარგი" 61-70 / "საშუალო" / დადებითი / D "დამაკმაყოფილებელი" 51-60 / "დამაკმაყოფილებელი" / დადებითი / E "საკმარისი" 41-50 / "არადამაკმაყოფილებელი" / უარყოფითი / FX "ვერ ჩააბარა" (ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება) 0-40 / "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" / უარყოფითი / F "ჩაიჭრა" (საგანი ხელახლა აქვს გასავლელი) სტუდენტის მიერ (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება) შუალედური შეფასებით, შუალედური გამოცდით და ფინალური/დასკვნითი გამოცდის შეფასებებით დაგროვილ ქულათა ჯამით განისაზღვრება მისი საბოლოო ნიშანი კონკრეტულ დისციპლინაში.

პროგრამის სტატუსი

პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ
ბრძ. # 59, 06/03/2015წ.

საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია
გადაწყვეტილების N 37, 18.03.2015